დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 6
თებერვლის №ძ 17 ბრძანებით

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი

ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“

დებულება

2023 წელი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი 3
მუხლი 2. ჟურნალის მიზნები და ამოცანები 3
მუხლი 3. სარედაქციო კოლეგია 4
მუხლი 4. რედაქტორი 4
მუხლი 5. სტატიის გამოქვეყნების წესები და პირობები 4
მუხლი 6. შეფასების სისტემა 5
მუხლი 7. ავტორთათვის სავალდებულო მოთხოვნები 6
მუხლი 8. საერთაშორისო თანამშრომლობა 6
მუხლი 9. დასკვნითი დებულებები 6
დანართი 1 7
დანართი 2 9
დანართი 3 11

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი ,,ეკონომიკური პროფილი'', (შემდგომში - „ჟურნალი“), წარმოადგენს ქუთაისის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ჟურნალს, სადაც ქვეყნდება ქართველი და უცხოელი ავტორების სამეცნიერო სტატიები, მაღალკვალიფიციური კვლევის შედეგები, რეცენზიები, მოსაზრებები ეკონომიკისა და ბიზნესის თემატიკის აქტუალურ საკითხებზე,

2. ჟურნალში გამოქვეყნება მოიცავს როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ გამოქვეყნებას.

3. ჟურნალი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორებთან, ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან, პრაქტიკოს ეკონომისტებთან და მენეჯერებთან.

4. ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე დაცულია ყველა მატერიალური, თუ არამატერიალური საავტორო უფლება.

5.ჟურნალი გამოიცემა და რეგისტრირებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2006 წლიდან. ჟურნალის UDC (უაკ)-ის ინდექსია 330.1, ე-491. ISSN 1512-3901 (ბეჭდვითი), eISSN 2587-5310 (ონლაინ);

6.ჟურნალი გამოდის ბეჭდური და ელექტრონული ფორმით, წელიწადში ორჯერ. ჟურნალის ელექტრონული მისამართია: http://economicprofile.org/ ; info@unik.edu.ge .

7. ჟურნალი იცავს სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების ეთიკას.

მუხლი 2. ჟურნალის მიზნები და ამოცანები

1. ჟურნალის ძირითადი მიზნებია:

1.1. შექმნას ფართო შესაძლებლობები საჯარო სამეცნიერო-პრაქტიკული დისკუსიისათვის ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით;

1.2. ეკონომიკის/ბიზნესის მიმართულებით მეცნიერთა და პრაქტიკოსთა კვლევების განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებული სამეცნიერო კვლევებისა და მიღწევების წარმოჩენა და ჟურნალში გამოქვეყნების გზით მათი ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა.

1.3. უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მეცნიერთა, პრაქტიკოსთა და დოქტორანტთა სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის შედეგების ასახვა, მათი საქმიანობის საზოგადოებისათვის გაცნობა.

2. ჟურნალის ძირითადი ამოცანებია:

2.1. სამეცნიერო პოტენციალის გამოვლენა მეცნიერების უახლესი მიღწევების დასანერგად უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესში;

2.2. ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის ინოვაციური მიდგომების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

2.3. საერთაშორისო დონეზე მაღალი სამეცნიერო სტატუსის, ავტორიტეტის მოპოვება და იმ სეგმენტის დაკავება, რაც საერთაშორისო აღიარების მქონე სამეცნიერო ტრადიციების ჟურნალებს უჭირავთ.

მუხლი 3. სარედაქციო კოლეგია

1. ჟურნალს ჰყავს სარედაქციო კოლეგია, რომელიც განსაზღვრავს ჟურნალის პოლიტიკას.
2. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია შედგება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვანი მეცნიერებისაგან, ეკონომიკის/ბიზნესის დარგში აღიარებული აკადემიური პერსონალისაგან, რომელთაც აქვთ შექმნილი ფუნდამენტური ნაშრომები დარგში, ფლობენ მაღალ პრაქტიკულ და თეორიულ კვალიფიკაციას.
3. სარედაქციო კოლეგიის ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებულ შემადგენლობას ჟურნალის რედაქტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
4. სარედაქციო კოლეგიის წევრთა შეხედულება შეიძლება არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის სამეცნიერო პოზიციებს, გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
5. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია პასუხს არ აგებს სტატიის გამოქვეყნების შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე.
6. იმ შემთხვევაში, თუ სტატიის გამოქვეყნების შედეგად მოხდა საავტორო ან სხვა უფლებების დარღვევა, სარედაქციო კოლეგია უფლებამოსილია გამოქვეყნებული სტატია ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან, ხოლო ავტორს გარკვეული ვადით შეუზღუდოს ჟურნალში გამოქვეყნების უფლება.

მუხლი 4. რედაქტორი

1. ჟურნალის საქმიანობას ხელმძღვანელობს ჟურნალის რედაქტორი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. ჟურნალის რედაქტორი ანაწილებს მოვალეობებს სარედაქციო კოლეგიის წევრებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს.
3. ახდენს სარედაქციო პორთფელის ხარისხობრივ ფორმირებას.
4. განსაზღვრავს გამოცემის სარედაქციო პოლიტიკას;
5. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად შემოსულ მასალებზე სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას გამოქვეყნების ან უარყოფის შესახებ;
6. ჟურნალის რედაქტორის ფუნქციები რეგულირდება სამუშაო აღწერილობით.

მუხლი 5. სტატიის გამოქვეყნების წესები და პირობები

1. ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე ვრცელდება ღია წვდომის პოლიტიკა, რაც გულისხმობს ვებ-გვერდზე მის საჯარო გავრცელებას, ასევე ბეჭდური ვერსიის ბიბლიოთეკებისთვის გადაცემას.

2. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად მიიღება სტატიები, რომლებიც შეიცავენ მეცნიერული სიახლის ელემენტებს და ეხებიან ეკონომიკის/ბიზნესის თემატიკას;

3.წარმოდგენილი სტატიები არ უნდა იყოს გამოქვეყნებული არცერთ სამეცნიერო ჟურნალში/გამოცემაში;

4. სტატიები შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური სახით;

5.დასაბეჭდად მიიღება აკადემიური პერსონალის, მკვლევარების, ნაშრომები;

6. შემოსული სტატია გადის პლაგიატის (კონტენტის უნიკალურობის) შემოწმებას StrikePlagiarism -ის პროგრამის მეშვეობით, რომლის შემდეგაც გადაეგზავნება რეცენზენტებს;

7. პლაგიატის ნებისმიერი გამოვლინების შემთხვევაში სტატია არ გამოქვეყნდება, ხოლო სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, პლაგიატის წარმომდგენ ავტორს, სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, შემდგომში შეიძლება გარკვეული ვადით შეეზღუდოს ჟურნალში სხვა სტატიის გამოქვეყნების შესაძლებლობა;

8. სტატიის გამოქვეყნების შემთხვევაში ნაშრომი ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი მკითხველისთვის და ამის თაობაზე ავტორთან რაიმე დამატებითი წერილობითი თანხმობა არ არის საჭირო.

მუხლი 6. შეფასების სისტემა

1.სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნდება მხოლოდ სავალდებულო წინასწარი ფარული რეცენზირების შემდეგ. სტატიის წარმოდგენის ვადებს აცხადებს რედაქტორი.

2. ყოველ სტატიას ფარული რეცენზირებით შეამოწმებს ორი დამოუკიდებელი შესაბამისი სფეროს ექსპერტი (რეცენზენტი), რომელთა ვინაობა კონფიდენციალურია;

3. სტატიის შეფასების მაქსიმალური მნიშვნელობაა - 100 ქულა. დადებით რეცენზიად ითვლება, თუ რეცენზენტი ნაშრომს შეაფასებს მინიმუმ 60 ქულით შეფასების ფორმის შესაბამისად (იხ. დანართი № 1).

4. სტატიას დასაბეჭდად რეკომენდაცია მიეცემა იმ შემთხვევაში, თუ ორივე რეცენზენტი ნაშრომს შეაფასებს დადებითად. საბოლოო გადაწყვეტილებას გამოქვეყნების შესახებ იღებს სარედაქციო კოლეგია.

5. რეცენზენტის მიერ შენიშვნების და მითითებების შემთხვევაში, რედაქცია ავტორს სთავაზობს არსებული რეკომენდაციების გათვალისწინებას ან თავისი პოზიციის დასაბუთებას.

6. თანხმობის შემთხვევაში, ავტორს, მაქსიმუმ 2 (ორი) კვირის ვადაში მოჰყავს შესაბამისობაში ნაშრომი წარდგენილ რეკომენდაციებთან.

7. გადამუშავებული ტექსტის მიღების შემდეგ სტატიას ხელახლა განიხილავს სარედაქციო კოლეგია გამოქვეყნების პროცედურებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ჟურნალის რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიის წევრებთან კონსულტაციის და რეცენზენტების დასკვნის საფუძველზე იღებს სტატიის ჟურნალში გამოქვეყნების შესახებ გადაწყვეტილებას.

მუხლი 7. ავტორთათვის სავალდებულო მოთხოვნები

1.აუცილებელია ნაშრომის გადმოცემის აკადემიური სტილის დაცვა, ციტირების ობიექტურობა, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში მიღებული და დამკვიდრებული მეცნიერული სტილის წარმოჩენა;

2.სტატია წარმოდგენილ უნდა იქნას სამეცნიერო სტატიის გაფორმების სავალდებულო ფორმატის შესაბამისად. აღნიშნული ფორმატი განისაზღვრება სარედაქციო კოლეგიის მიერ და

განთავსდებულია ჟურნალის ვებ-გვერდზე სათაურით - „ავტორთათვის“ (დანართი N2);

3.ავტორმა (ავტორებმა) სტატიასთან ერთად უნდა გამოაგზავნოს ან წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია: ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტის მისამართი;

4.ჟურნალის გამოქვეყნებამდე ავტორი ვალდებულია ჟურნალს აცნობოს საკონტაქტო ინფორმაციის შეცვლის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი შეტყობინება გაიგზავნება თავდაპირველ ელექტრონულ მისამართზე ან ტელეფონზე და ჩაითვლება ჩაბარებულად;

5.სტატიის მოწოდება ხდება შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე გადაგზავნით: economicprofile@unik.edu.ge მითითებით ,,სამეცნიერო სტატია’’;

6.ჟურნალის რედაქტორი თავად დაუკავშირდება სტატიის ავტორს (რამდენიმე ავტორის მიერ წარმოდგენილი სტატიის შეთხვევაში კი ერთ-ერთ ავტორს).

7. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების ვადები და პროცედურა განთავსდებულია ჟურნალის ვებ-გვერდზე სათაურით - „გამოქვეყნების პროცედურა“ (დანართი N3).

მუხლი 8. საერთაშორისო თანამშრომლობა

1. ჟურნალი თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა ფართო წრეებთან და საერთაშორისოდ აღიარებულ ბაზებთან.

2. ჟურნალში დაიბეჭდება როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერების სტატიები ქართულ და ინგლისურ ენებზე (აუცილებელია რეზიუმე ინგლისურ ენაზე ნათარგმნი გამოყენებული ლიტერატურისა და შენიშვნების თანხლებით).

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

2.წინამდებარე დებულებაში ცვლილებიბი და დამატებები შედის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დანართი 1

Scientific Article Assessment Form
სამეცნიერო სტატიის
შეფასების ფორმა

Name, surname, scientific title and academic position of the reviewer
რეცენზენტის გვარი, სახელი, სამეცნიერო წოდება და აკადემიური თანამდებობა

Title of the article
სტატიის სათაური

Article Assessment Criterion სტატიის შეფასების კრიტერიუმი	Limits of Assessment შეფასების ფარგლები	Score Received მიღებული ქულა	Note შენიშვნა
Actuality of the article სტატიის აქტუალურობა	Maximum 10 მაქსიმუმ 10		
Quality of Scientific Research (Research method, argumentation, logic, etc.) სამეცნიერო კვლევის ხარისხი (კვლევის მეთოდი, არგუმენტირება, ლოგიკურობა და ა.შ.)	Maximum 20 მაქსიმუმ 20		
Novelty of research კვლევის სიახლე	Maximum 15 მაქსიმუმ 15		
Coefficient of searching and using court practice სასამართლო პრაქტიკის მოძიებისა და გამოყენების კოეფიციენტი	Maximum 10 მაქსიმუმ 10		

Quality of practical recommendations given in the article სტატიაში წარმოდგენილი პრაქტიკული რეკომენდაციების ხარისხი	Maximum 15 მაქსიმუმ 15		
Novelty, quality and variety of references used გამოყენებული ლიტერატურის სიახლე, ხარისხი და მრავალფეროვნება	Maximum 15 მაქსიმუმ 15		
Language, style, formatting of the article and frequency of using marginal notes ნაშრომის ენა, სტილი, გაფორმება, სქოლიოების გამოყენების სიხშირე	Maximum 15 მაქსიმუმ 15		
Total assessment score of the scientific article სამეცნიერო სტატიის ჯამური შეფასება	Maximum 100 მაქსიმუმ 100		

Reviewer’s signature
რეცენზენტის ხელმოწერა

DATE
თარიღი

დანართი 2

ავტორთათვის სტატიის გაფორმების წესი

- ავტორებს შეუძლიათ სტატია წარმოადგინონ ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- ავტორი პასუხისმგებელია სტატიის შინაარსზე;
- ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ სტატიას თან უნდა ახდეს სრული თარგმანი ან ვრცელი რეზიუმე (2-3 გვ.) ქართულ ენაზე (ქართულენოვანი ავტორებისათვის), ან მხოლოდ ვრცელი რეზიუმე (3 გვ.) ინგლისურ ენაზე (უცხოენოვანი ავტორებისათვის);
- სტატია წარმოდგენილი უნდა იქნეს DOC (MS-Word) ფაილის სახით;
- ნაშრომის მოცულობა: არანაკლებ 7 გვერდისა და არაუმეტეს 15 გვერდისა (სხვა ენაზე თარგმანის ჩათვლით);
- ფურცლის ზომა A4;
- მინდორი: ზევით-ქვევით - 2 სმ; მარჯვნივ-მარცხნივ - 2,5 სმ;
- შრიფტი: ქართული ტექსტისათვის - Sylfaen; ინგლისური ტექსტისათვის - Times NewRoman;
- შრიფტის ზომა -12;
- სტრიქონებს შორის მანძილი -1,5;
- ფურცელი არ ინომრება;
- მონაცემები ავტორის შესახებ:
- ავტორის (ავტორების) სახელი, გვარი (ცენტრირებული, შრიფტის ზომა 12);
- მოკლე აკადემიური ბიოგრაფია (არაუმეტეს 100 სიტყვისა. გთხოვთ მიუთითოთ ORCID);
- ნახაზები, ნახატები, სქემები, ფოტოები, ილუსტრაციები, ცხრილები მოცემული იყოს შესაბამისი ტექსტის ქვეშ ან მომდევნო გვერდზე;
- ფორმულები შესრულებული უნდა იყოს MathType 6.0 equation პროგრამის გამოყენებით.
- ნახაზებს, ნახატებს, სქემებს, ფოტოებს, ილუსტრაციებს, ცხრილებს უნდა მიეთითოს სათაური ზედა მხარეს (ცენტრირებულად), ხოლო სათაურის ზემოთ, მარჯვენა მხარეს ნომერი (მაგ., „ცხრილი 1“, „ნახაზი 2”). დანომვრა ხდება დამოუკიდებელი ნუმერაციით;
- თუ ტექსტში მოცემულია მხოლოდ ერთი ილუსტრაცია, იგი არ ინომრება;
- ნახაზი უხარვეზოდ უნდა აისახებოდეს ეკრანზე (გარჩევისუნარიანობა 96-150 dpi);
- სტატიის სახელწოდება (ცენტრირებული, Bold, შრიფტის ზომა 14);
- მოკლე ანოტაცია (არაუმეტეს 60 სიტყვისა) სტატიის ენაზე (დახრილი, Italic), შრიფტის ზომა 12), რომელშიც ასახული იქნება სტატიის მხოლოდ ძირითადი სამეცნიერული შედეგი(სიახლე);
- საკვანძო სიტყვები - არაუმეტეს ხუთისა- სტატიის ენაზე (დახრილი, Italic, შრიფტის ზომა12);
- საკვანძო სიტყვების შემდეგ, სტატიის შინაარსის მიხედვით, მიეთითება J.E.L.კლასიფიკაციის შესაბამისი კოდ(ებ)ი (იხ. ბმულზე https://www.aeaweb.org/jel/guide/jel.php)
- სტატიის ძირითადი ნაწილი, რომელიც მოიცავს შესავალს (აქტუალობა), ძირითად ტექსტსდა დასკვნას - (შრიფტის ზომა 12);
- წარმოდგენილ უნდა იქნეს სტატიის ელექტრონული ვერსია (მისამართი: 4601, ქუთაისი, წერეთლის ქუჩა 13, ჟურნალის - „ეკონომიკური პროფილი“ - რედკოლეგია; ელფოსტა: economicprofile@unik.edu.ge);
- მაგისტრანტს (მაგისტრს) ან დოქტორანტს მოეთხოვება თავისი, დამოუკიდებლად შესრულებული სამეცნიერო სტატია წარმოადგინოს მეცნიერ-ხელმძღვანელის რეკომენდაციასთან ერთად;
- სტატიის ავტორის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს სარედაქციო საბჭოს პოზიციას;

- ავტორებს აქვთ საავტორო უფლებები შეზღუდვის გარეშე;
- გამოქვეყნება უფასოა;
- სტატიას, რომელიც არ უპასუხებს ზემოთჩამოთვლილ მოთხოვნებს, რედაქცია არ განიხილავს გამოსაქვეყნებლად;
- ავტორი ვალდებულია, დაიცვას ციტირების სტილი (იხ. ქვემოთ):

ციტირების ნიმუში

სტატიის ბოლოს მითითებული გამოყენებული ლიტერატურის სიაში გამოცემები დალაგდება ანბანური თანმიმდევრობით ავტორების (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, კრებულის სათაურის) გვარების მიხედვით, ჯერ ქართული, შემდეგ უცხოური გამოცემები.

1. მონოგრაფია სიაში:

გიორგაძე, დ. (2008). ზოგადი ეკონომიკსი. თბილისი, „ინტელექტი“, გვ. 12 ტექსტში:

(გიორგაძე, 2008: 12)

2. ნაშრომი: კრებულში სიაში:

გიორგაძე, დ. (2008). ზოგადი ეკონომიკსი. კრებულში: „სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და გამოწვევები“, თბილისი, „ინტელექტი“, გვ. 12

ტექსტში (გიორგაძე, 2008: 12) ჟურნალში

სიაში:

გიორგაძე, დ. (2008). ზოგადი ეკონომიკსი. ჟ.: “ეკონომიკური პროფილი”, № 3, გვ. 34 ტექსტში

(გიორგაძე, 2008: 34)

3. თუ წიგნს (სტატიას) ჰყავს რამდენიმე ავტორი, ტექსტში მრგვალ ფრჩხილებში ჩაიწერება პირველად მითითებული ავტორის გვარი, და შემდეგ ჩვეულებრივად, როგორც ერთი ავტორის შემთხვევაში (გიორგაძე... 2008:12)

4. კრებულები სიაში: თსუ...შრომების კრებული. თბილისი, „დიოგენე“, 2015, გვ. 15, ტექსტში დამოწმებული იქნება ასე: (თსუ ..., 2015:15)

5. უცხოენოვანი წიგნის მითითების შემთხვევაში, ავტორის გვარი უნდა მიეთითოს ორიგინალის ენაზე, ხოლო დამოწმების წესი იქნება ისეთივე, როგორიც არის ქართულენოვანი წიგნის მითითებისას.

6. ენციკლოპედიის ან ლექსიკონის დამოწმება ხდება ავტორის (ავტორთა გვარების) ან სათაურის პირველი სიტყვის მითითებით, ზუსტად ისე, როგორც ზემოთ.

7. თუ ავტორს ერთსა და იმავე წელს გამოცემული აქვს ორი ან მეტი წიგნი, ავტორის ნაშრომის გამოცემის წელის შემდეგ მიეთითება შესაბამისად ა, ბ და ა.შ. ნიმუში: (გიორგაძე, 2008ა :12).

8. ავტორისეული შენიშვნები ჩატანილი უნდა იყოს სქოლიოში, შესაბამისი გვერდის ბოლოს და დაინომროს ერთიანი ნუმერაციით მთელ სტატიაში. სქოლიოს შრიფტის ზომა 9. სტატიის შიგნით

ტექსტის ციტირებისას იგი უნდა გამოიყოს ძირითადი ტექსტიდან დახრილი შრიფტით (იტალიკით). ციტატის შრიფტის ზომა - 11.

დანართი 3

გამოქვეყნების პროცედურა და ვადები

ჟურნალ „ეკონომიკურ პროფილში“ სტატიის გამოსაქვეყნებლად სავალდებულოა ორი პირის ფარული რეცენზია. რეცენზენტს თითოეული სტატიისთვის ირჩევს მთავარი რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიის წევრებთან კონსულტაციის გზით.

რეცენზენტები არიან სხვადასვა უნივერსიტეტებში მოღვაწე მეცნიერები, რომელთა კომპეტენცია და აკადემიური შრომები თანხვედრაშია სტატიის შინაარსთან.

ნაშრომი ქვეყნდება ორი დადებითი რეცენზიის საფუძველზე. გამოქვეყნების პროცედურა შედგება 9 ეტაპისაგან და სტატიის მიღებიდან სრულად მოიცავს არაუმეტეს 60 დღისა.

ეტაპი	აქტივობა	ვადა/თარიღი
I	სტატიის მიღება ჟურნალის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე economicprofile@unik.edu.ge	არაუგვიანეს 15 მაისი/ არაუგვიანეს 15 ოქტომბერი
II	ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობის დადგენა. შეუსაბამობის შემთხვევაში სტატია აღარ განიხილება, რის შესახებაც ეცნობება ავტორს	4 დღე
III	პლაგიატის შემოწმება პროგრამის მეშვეობით. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში სტატია აღარ განიხილება, რის შესახებაც ეცნობება ავტორს	7 დღე
V	თემატიკის მიხედვით რეცენზენტის შერჩევა და ნაშრომის გადაგზავნა	5 დღე
V	რეცენზენტების მიერ დასკვნების მომზადება	21 დღე
VI	რეცენზენტების დასკვნების განხილვა	4 დღე
VII	სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილება და ავტორისათვის შეტყობინების გაგზავნა	2 დღე
VIII	საჭიროების შემთხვევაში, ავტორებისათვის სტატიის შემდგომი დამუშავების დრო	14 დღე
IX	საჭიროების შემთხვევაში, გადამუშავებული სტატიების გამოქვეყნების თაობაზე სარედაქციო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღება	3 დღე